საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ენასოკო



ენასოკო

ენასოკო (Clavariadelphus ligula), საჩეჩელა სოკოების ოჯახის ერთ-ერთი სახეობა. აქვს ენისებრი ან ქინძისთავისებრი, 8 სმ -მდე სიმაღლისა და 1 სმ სისქის ნაყოფსხეული, რ-იც ძირისკენ წვრილდება, ძირში ქეჩისებურადაა შებუსული; მყიფეა, თავდაპირველად ყვითელი ან მოყვითალო ფერისაა, შემდეგ კი – მურა. იზრდება ნიადაგზე წიწვოვან ტყეში ზაფხულსა და შემოდგომაზე. საქართველოში გავრცელებულია ყველგან. არის მდარე ხარისხის სოკო.

ი. ნახუცრიშვილი